Environment and Society, N4, July, 2022, pp. 104-140

Formation of the Presidential Institute in Georgia and the Republics of South Caucasus

რუსლან ბარამიძე - ისტორიის დოქტორი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება
ელ.ფოსტა:ruslan.baramidze@bsu.edu.ge

მაია ბოლქვაძე- ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთარუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი უფროსი მასწავლებელი ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი
ელ.ფოსტა:maiabolk@gmail.com

Abstract

The article is devoted to the issues of formation of the presidential institute in South Caucasus (Georgia, Azerbaijan and Armenia). The article discusses the peculiarities of the origin and the change of the presidential rule. In all three republics of South Caucasia, the presidential institute was gradualy gaining strength, however affected by the political processes and as a result of changes in Georgia and Armenia the powers of the president as a head of the executive government shifted to a prime minister. The theoretical framework of the article is based on the theory of P. Bourdieu's theory of social capital and social field.

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia [grant number FR-18-8649, Title: “What wins the Elections in Georgia”].

Key words: *Institute of Presidency, Power, Social space, Political field, Media.*

პრეზიდენტის ინსტიტუტის ჩამოყალიბება საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეხება სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში პრეზიდენტის ინსტიტუტის ფორმირების საითხებს. ნაშრომში განხილულია საპრეზიდენტო მმართველობის გაჩენისა და შეცვლის თავისებურებები. სამხრეთ კავკასიაში პრეზიდენტის ინსტიტუტი თანდათანობით ძლიერდებოდა სამივე რესპუბლიკაში, თუმცა პოლიტიკური პროცესების გავლენით საქართველოსა და სომხეთში ცვლილებების შედეგად აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური პრემიერ-მინისტრის გახდა, პრეზიდენტის უფლებამოსილება კი საგრძნობლად შეიკვეცა. ძალაუფლების გაგებისა და მისი რეალიზების თავისებურებების გაგებისათვის პ. ბურდიეს თეორიას ვეყრდნობოდით.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტის №FR-18-8649, სახელწოდება - „რა იგებს არჩევნებს საქართველოში“).

საკვანძო სიტყვები: *პრეზიდენტის ინსტიტუტი, ძალაუფლება, სოციალური სივრცე, პოლიტიკური ველი, მედია*

შესავალი

სამხრეთ კავკასიაში აღმასრულებელი ხელისუფლების გაგება და ფორმირება კონკრეტული პოლიტიკური აქტორების ინტერესებთან იყო დაკავშირებული. მათ მიერ ძალაუფლების აღქმა, ისევე როგორც გარშემომყოფთა წარმოდგენა ამ პირების როლის, ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ მერყეობდა გავლენიანი პოლიტიკური თანამდებობის შემოღებიდან - ძლიერი, თითქმის ყოვლისმომცველი უფლებების მქონე თანამდებობის ჩამოყალიბებამდე. პრეზიდენტის ინსტიტუტის შინაარსი მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული როგორ კონკრეტული პირების მხრიდან ძალაუფლების გაგებასთან, ისე ცალკეული აქტორების სოციალურ კაპიტალზე და კონტექსტზე.

წარმოდგენილი ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს მმართველი ჯგუფების მხრიდან ძალაუფლების შინაარსის და მისი რეალიზების მექანიზმების ანალიზი, რომელიც ხორციელდებოდა შესაბამისი პოლიტიკური დისკურსის მეშვეობით. სამხრეთ კავკასიაში საპრეზიდენტო ინსტიტუტის ირგვლივ განვითარებული პროცესების ანალიზი საინტერესო თავისებურებების გამოვლენის საშუალებს იძლევა. ნაშრომში ასახულია ქვეყნებში მიმდინარე პროცესების დროს სხვადასხვა აქტუალური თემების გამოყენებით პერსონალური ინტერესების რეალიზება - ხელისუფლების შენარჩუნების რესურსებზე ზემოქმედების საშუალებებზე გავლენის მისაღწევად და შესანარჩუნებლად. ჩვენი აზრით, პრეზიდენტის ინსტიტუტის ფორმირების პროცესი ძალაუფლების შენარჩუნების რესურსების კონტროლით იყო განპირობებული, რაც შესაბამისი დღის წესრიგის ფორმირებით ხდებოდა. სამხრეთ კავკასიაში საპრეზიდენტო ინსტიტუტი გაგებისათვის მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ ძალაუფლების გაგება პოლიტიკური აქტორიების მხრიდან და დისკურსის ის ველი, რომელიც ამ შინაარსების დამკვიდრებისათვის შეიქმნა, განმტკიცდა, გადამუშავდა. ამისათვის ხდებოდა პრეზიდენტის ინსტიტუტის თანდათანობითი გაძლიერება და მისი მეშვეობით არჩევნებზე ზემოქმედება.

თეორია

საპრეზიდენტო ინსტიტუტთან, ხელისუფლებასთან, ძალაუფლებასთან და სხვა მსგავს საკითხთან დაკავშირებით არაერთი ანალიზი და თეორია არსებობს. თუმცა, ჩვენი

მიზნებიდან გამომდინარე, ძალაუფლებასთან და შესაბამის დისკურსთან დაკავშირებული თეორია მიგვაჩნია. რადგან, ნაშრომის თავისებურება ცალკეული თეორიების მიმოხილვის საშუალებას არ იძლევა, ამიტომ ძირითადი ყურადღება პ. ბურდიეს თეორიულ შეხედულებებს დავუთმეთ.

პ. ბურდიეს მიხედვით ჰაბიტუსი დისპოზიციების სისტემაა სადაც აგენტის პრაქტიკა და წარმოდგენები იქმნება და სტრუქტურირდება. სოციალიზაციით განპირობებული ჰაბიტუსი აგენტს სოციალურ სივრცეში სპონტანურ ორიენტირებაში ეხმარება, რათა მიმდინარე მოვლენებსა და სიტუაციებზე ადექვატური რეაგირება ჰქნოდეს (Бурдье, 2002). ყოველდღიურობაში კავშირი პირობებსა და აგენტის მიერ დაკავებულ პოზიციას შორის ჰაბიტუსის განსაკუთრებულ ტიპში გამოიხატება, რაც გააზრებულს ხდის პრაქტიკებს. ეს პოზიცია შეესაბამება აგენტის დისპოზიციას სოციალურ ტოპოლოგიაში (Бурдье, 1993). ეს თვისებები წარმოდგენენ აგენტის სიმბოლურ კაპიტალს, რის გამოც აგენტები, ან აგენტების ჯგუფი, სივრცეში მიმართებითი პოზიციებით განისაზღვრებიან როგორც ერთმანეთთან, ასევე მეზობელ პოზიციებთან მიმართებით. აგენტისათვის შეუძლებელია სივრცეში ერთდროულად ორი საპირისპირო ადგილის დაკავება (Бурдье, 1993). სოციალური ქმედების აგენტის პრაქტიკული მოქმედება და პრაქტიკები განპირობებულია სოციალურ სივრცეში მისი მდებარეობით, რომელიც თავის მხრივ შეესაბამება მის ძალისმიერ პოტენციალს. სოციალურ სივრცეში შემავალი პოლიტიკის ველი (სხვა ველებთან ერთად) ავტონომიური, სხვა ველებთან მიმართებით სოციალურად განსაზღვრული ობიექტური კავშირების მქონე ადგილია, თავისი გამოცდილებით და ურთიერთქემედების თავისებურებით. ამ ველში განხორიცელებულ საქმიანობას არანაირი მნიშვნელობა ან გავლენა არ აქვს სხვა ველზე და ერთ ველზე მიმდინარე პროცესებს არ მოაქვს წარმატება სხვა ველზე (Социоанали, 2001). ამავდროულად, პოლიტიკურ ველზე პროცესების მიზანია არა პოლიტიკური ძალაუფლების ობიექტივირებული რესურსების მონოპოლია, არამედ პოლიტიკური წარმოდგენების და მოსაზრებების (აღ)წარმოებისა და გავრცელების მონოპოლია. ანუ, საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით საკუთარი შეხედულებების თავზე მოხვევის ხერხების მონოპოლია, როცა ერთ აგენტს (ინდივიდუალურს ან ჯგუფურს) შეუძლია ერთადერთი, შეუცვლელი და გარდაუვალი სიმართლის ტირაჟირება (იქვე). ამგვარად, საჯარო დღის წესრიგის კონტროლი წარმოადგენს მოძრავ სივრცეს, რომელშიც პოლიტიკურ ველზე თამაშის მსურველები იბრძვიან მის დასამორჩილებლად, ან იმისთვის,

რომ დომინანტობა მოიპოვონ (იქვე).

მეთოდოლოგია

ნაშრომი ძირითადად მომზადებულია საგაზეთო და ინტერნეტ მედია რესურსების მასალების, ამ პერიოდში განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებული კვლევებისა და შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების მიხედვით. მასალების ანალიზის დროს გამოყენებულია აღწერის, კონტენტ-ანალიზის, კრიტიკული მედია დისკურს ანალიზის მიდგომები (Fairclough, 1995), რომლის დროს მოპოვებული ტექსტუალური მასალების განხილული იყო ენობრივი სპეციფიკის და სოციალური გარემოს გათვალისწინებით. ყურადღება ეთმობოდა კონტექსტს, ავტორს, დროს (როდის იყო წარდგენილი ეს მასალა) და სხვა თანამდევ თავისებურებებს, რომელიც კონკრეტული ინფორმაციის სპეციფიკის გაგებისთვის იყო საჭირო. ძალაუფლებასთან დაკავშირებული თითოეული მიდგომის რეალიზების თავისებურებები წარმოჩენელია შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

ისტორიული წინაპირობები

სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებისათვის პირველი კონსტიტუციების და მმართველობითი სისტემების ფორმირება 1918 წლის მაისის ბოლოს ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლას და ეროვნულ საბჭოებს უკავშირდება. ამ პერიოდში მიღებული იყო დამოუკიდებლობის აქტები, რომელთა საფუძველზეც იქმნებოდა მმართველობითი ორგანოები და კონსტიტუცია. საქართველოს პირველი, 1921 წლის კონსტიტუცია, მართალია ითვალისწინებდა მთელ რიგ უფლებებს და თავისუფლებებს, მაგრამ მასში სახელმწიფოს ორგანიზაციის და მმართველობის საკითხი ძალიან მოკლედ იყო ასახული (ბაბეკი, 2013). სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში ეს კონსტიტუციები წარმოდგენდნენ მნიშვნელოვან ისტორიულ, პოლიტიკურ და სამართლებრივ დოკუმენტს, რომლებზე აპელირებაც, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, აუცილებლად მიაჩნდათ.

საბჭოთა პერიოდში ადგილობრივ რესპუბლიკებში მმართველობის საბჭოთა მოდელი მოქმედებდა. საბჭოთა კავშირის ბოლო პერიოდში თითოეულ ქვეყანაში

დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჯგუფები და მოძრაობები ძლიერდებოდნენ. ისინი საკუთარი უფლებების, ენის, კულტურის, გარემოს თუ სხვა საკითხების დაცვას

ცდილობდნენ. საქართველოში ენის, ძეგლებისა და მემკვიდრეობის დაცვაზე ორიენტირებლი და რკინიგზისა თუ ჰესების მშენებლობის მოწინააღმდეგე მოძრაობები იკვეთებოდნენ (ჯონსი, 2013). ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ იყო მიმართული; თუმცა მმართველობის საკითხი, რომელიც აუცილებლად იქნებოდა დაკავშირებული იმ ლიდერის ვინაობასთან, რომელიც, მომავლში, ქვეყნის ხელმძღვანელი იქნებოდა - თავის აქტუალობას შიდა და გარე დაპირისპირებების ფონზე 1980-იანი წლების ბოლოს იძენდა. სამივე რესპუბლიკაში დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ადგილი ჰქონდა დაპირისპირებას, ძალადობას და კონფლიქტებს - საომარი მოქმედებების დაწყება მთიან ყარაბაღში, შავი იანვარი ბაქოში, 9 აპრილი თბილისში, დაპირისპირებები სხვადასხვა ჯგუფებს შორის რესპუბლიკებს შიგნით და ა.შ.

დამოუკიდებლობა

1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს სსრ-ში საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგად, საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში უმრავლესობით ბლოკი მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო მოვიდა, რომლის მიზანი ჯერ ხელისუფლებაში მოსვლა და შემდეგ დამოუკიდებლობის მიღწევა იყო. ლიდერი ზვიად გამსახურდია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს (ჯონსი, 2013). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 14 ნოემბერს დამოუკიდებლობის აღდგენის წინაპირობად კონსტიტუციური ხასიათის საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“ მიიღო (,,საქართველოს…”, 1990). 1991 წლის 31 მარტს საერთო-სახალხო რეფერენდუმზე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე 1918 წლის 26 მაისის აქტის (ბაჟარაძე, 1991) და მისი შედეგების საფუძველზე, უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილის საგანგებო სხდომაზე „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“ მიიღო (,,საქართველოს…”(1), 1991) და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ასევე მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის

კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოქმედების შესახებ“, როგორც სახეცვლილი, დროებითი საბჭოთა კონსტიტუცია დროებითი კონსტიტუციის სახით (,,საქართველოს (2), 1991).

აზერბაიჯანში გადაწყვეტილება „აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ“ 1918 წლის 28 მაისის აქტის შესაბამისად, 1991 წლის 30 აგვისტოს მიიღეს, როგორც დამოუკიდებელი აზერბაიჯანული სახელმწიფოებრიობის გაგრძელება (Законодательство...). აქტის საფუძველზე 1991 წლის 18 ოქტომბერს აზერბაიჯანის უმაღლესმა საბჭომ კონსტიტუციური აქტი მიიღო აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ (Конституционный..., 1991).

1990 წლის 23 აგვისტოს სომხეთის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღეს, რომელსაც უნდა გაეგრძელებინა 1918 წლის 28 მაისის დამოუკიდებელი სომხეთში რესპუბლიკის ტრადიციები (Декларация…, 1990). იგი სომხეთის კანონმდებლობას დაედო საფუძვლად. 1991 წლის 21 სექტემბერს საბჭოთა კანონმდებლობის დაცვით სომხეთში ჩატარდა რეფერენდუმი სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ, რომლის შედეგების მიხედვით 23 სექტემბერს უმაღლესმა საბჭომ სომხეთი დამოკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ გამოაცხადა (Маркедонов, 2006).

აზერბაიჯანის დამოკიდებლობის დღე, ისევე როგორც საქართველოში (26 მაისს), დამოუკიდებლობის 1918 წელს პირველი აქტის მიღების დღეს (28 მაისს) აღინიშნება (Агамалиева, 1998). სომხეთში დამოუკიდებლობის დღე რეფერენდუმის ჩატარების დღეს (21 სექტემბერს) აღინიშნება (Gov.am/ru, 2022).

პრეზიდენტის ინსტიტუტი

საქართველო

დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად, 1991 წლის 9 აპრილის სხდომაზე მიღებული იყო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ („საქართველოს…” (4), 1991). მმართველობითი სისტემის ზოგადი ჩარჩოს აღნიშვნის მიუხედავად, საჭირო იყო მისი შინაარსის დაზუსტება. ეს საკითხი ზ. გამსახურდიას ოპონენტების მხრიდან პროტესტებს და წინააღმდეგობას იწვევდა.

პოლიტიკურ ჯგუფებს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლამ თანდათანობით ძალადობრივი ხასიათი მიიღო. როგორც ს. ჯონსი აღნიშნავს, შეტაკებების დაწყების შემდეგ საქართველოს რეალობაში წარმოსახვითი სოლიდარობის შეგრძნება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რომანტიზმი გაქრა და მისი ადგილი უკომპრომისობამ და ძალადობამ დაიკავა (ჯონსი, 2013).

სამხრეთ კავკასიაში 1990-იანი წლებიდან პოლიტიკურ ველზე მონოპოლური პოზიციის მისაღწევად ჯგუფები ცდილობდნენ განსხვავებული, ორიგინალური მოსაზრებების შექმნით და გავრცელებით აღმოჩენილიყვნენ უპირატეს მდგომარეობაში. თუ პ. ბურდიეს მოსაზრებას გავიზიარებთ, ისინი საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით, ცდილობდნენ მონოპოლიის მოპოვებას მოსაზრებების გავრცელების ხერხებსა და საშუალებებზე (Социоанализ…, 2001). სამივე რესპუბლიკისათვის აქტუალური იყო ერთადერთი, შეუცვლელი და გარდაუვალი სიმართლის ტირაჟირება იმასთან დაკავშირებით თუ ვინ იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტი ლიდერი, ქვეყნის დამოუკიდებლობის დამცველი, დემოკრატიული საზოგადოების მშენებელი და ვინ იყო მტერი. სხვა პარტიებთან და ლიდერებთან მსგავსება საზოგადოების დაბნეულობას გამოიწვევდა, ხოლო საკუთარი გამორჩეულობის წარმოჩენა ოპოზიციასთან ოპონირებით იყო შესაძლებელი.

სამივე რესპუბლიკაში პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნა ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო. საქართველოში ზ. გამსახურდია და მისი პოლიტიკური ჯგუფი პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების საჭიროებასთან ერთად აღნიშნავდნენ, რომ იგი მაქსიმალურად ძლიერი და უფლებამოსილი უნდა ყოფილიყო. ზ. გამსახურდიამ დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდეგ განაცხადა, რომ მხოლოდ საყოველთაო სახალხო არჩევნებით არჩეული პრეზიდენტი შეძლებდა მიმდინარე გამოწვევებთან გამკლავდებას („საქართველოს…” (3), 1991). იგი მიიჩნევდა, რომ არსებულ ვითარებაში ერთადეთი გამოსავალი ერთპიროვნული მმართველობა იყო: „საპარლამენტო რესპუბლიკა ჩვენთვის ნიშნავს ერისა და პარლამენტის ნგრევას... საპრეზიდენტო წყობა ერთადერთი საშუალებაა ჩვენი ხალხის ხსნის. უნდა იყოს ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი საპრეზიდენტო წყობა... ამის გარეშე საქართველო ვერ იარსებებს...“ (ჯონსი, 2013).

1991 წლის 14 აპრილს გამართული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის საგანაგებო სხდომა პრეზიდენტის თანამდებობის სამართლებრივი

ჩარჩოების დადგენას, არჩევნების ვადის განასაზღვრას („საქართველოს…" (4), 1991; „დადგენილება…", 1991; „საქართველოს…" (2), 1990) და პრეზიდენტის საყოველთაო არჩევამდე - მის საპარლამენტო არჩევას გულისხმობდა („საქართველოს…" (4), 1991). ერთადერთ კანდიდატად ზვიად გამსახურდია დასახელდა. წარდგენისას, პრეზიდენტის ბიოგრაფიის ის ასპექტები იყო ხაზგასმული, რომელიც იმ პერიოდის საქართველოს პოლიტიკური სიტუაციისათვის იყო მნიშვნელოვანი: კლასიკოსი მწერლის შვილი, მკვლევარი, პატიმრობისა და საპყრობილეში ყოფნის დისიდენტური გამოცდილების მქონე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქციების მონაწილე და სხვ. ("ზვიად…", 1991). თავის მხრივ გამსახურდია, ამ საკითხზე საუბრისას აღნიშნავდა, რომ პრეზიდენტობა არ იყო მისი არჩევანი: „...მსურს აღვნიშნო უწინარეს ყოვლისა, რომ არ მინდა ვტოვებდე შთაბეჭდილებას ისეთი ადამიანისას, რომლის ცხოვრების უმთავრესი მიზანი პრეზიდენტობაა. არასოდეს მქონია ასეთი მიზნები. ეს ყველამ კარგად იცის, ვინც ასე თუ ისე მიცნობს. მაგრამ ქვეყნის მდგომარეობამ, ჩვენი ერის დღევანდელმა ვითარებამ განაპირობა ეს ყოველივე" („საქართველოს…" (5), 1991). იგი ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად („ზვიად…" (2), 1991: 1) და მან საყოველთაო არჩევნების გზით პრეზიდენტად ასარჩევად დაიწყო მზადება.

ა ზერბაიჯანი

1990 წლის 19 მაისს აზერბაიჯანში სსრ-ს უმაღლესმა საბჭომ პრეზიდენტის ინსტიტუტი შემოიღო. მისი შემოღება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანეობის ინიციატივით მოხდა და მისი მიზანი იყო პარტიის პირველი მდივნის არჩევა პრეზიდენტად. კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი აიაზ მუტალიბოვი ამ პოსტზე ფაქტიურად უალტერნატივო იყო (Фурман, Абасов, 2001). შემოდგომაზე პრეზიდენტის ძალისხმევით უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა, სადაც უმრავლესობით ისევ კომუნისტური პარტია იყო წარმოდგენილი. მუტალიბოვის მიზანი იყო აზერბაიჯანის ეროვნული ფრონტის და ჰ. ალიევის მხარდამჭეღთა უმაღლეს საბჭოში უმცირესობაში ყოფნა (Фурман, Абасов, 2001). მოგვიანებით, 1991 წლის 8 სექტემბერს პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნები ჩატარდა, რომელიც ასევე აიაზ მუტალიბოვმა მოიგო (Фурман, Абасов, 2001).

სომხეთი

სომხეთის კომუნისტურმა პარტიამ ასევე სცადა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება და ამ პოსტზე პარტიის პირველი მდივნის არჩევა. თუმცა, პროექტის ინიცირების შემდეგ, ქვეყანაში არსებული კრიზისისა და ყარაბახის კონფლიქტის ფონზე, ახლადარჩეულ უმაღლეს საბჭოში კომუნისტური პარტიის ოპონენტი - სომხეთის საერთო სახალხო მოძრაობა მოვიდა. უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელად ოპოზიციური მოძრაობის ლიდერი - ლევონ ტერ-პეტროსიანი აირჩიეს (Борисов, 2017).

დამოუკიდებლობის დეკლარაცია ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად დაყოფას ითვალისწინებდა, მაგრამ არაფერი იყო ნახსენები პრეზიდენტის ინსტიტუტის შესახებ. პრეზიდენტის ინსტიტუტის სამართლებრივი ბაზა მიღებული იყო უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებით. 1991 წლის 1 აგვისტოს მიღბულ იქნა დადგენილება „სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის შესახებ“; ხოლო 2 აგვისტოს - კანონი „სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის შესახებ“, რომლის მიხედვითაც არჩევნები 1991 წლის 16 ოქტომბერს დაინიშნა (Abrahamyan, 2019). როგორც ჰ. აბრამიანი მიუთითებს, საპრეზიდენტო ინსტიტუტის შემოღებას სომხეთის საერთო სახალხო მოძრაობა უჭერდა მხარს, ხოლო დაშნაკცუთიუნი (სომხეთის რევოლუციური ფედერაცია), რომელიც სომხურ დიასპირაში ყველაზე გავლენიანი პოლიტიური პარტია იყო - ამის წინააღმდეგი იყო, რადგან იგი ნაკლებად დემოკრატიულად მიაჩნდა (იქვე).

წინასაარჩევნო პერიოდში ფაქტიურ კონკურენციას ადგილი სომხეთის საერთოსახალხო მოძრაობის შიგნით ჰქონდა საპრეზიდენტი კანდიდატის ვინაობასთან დაკავშირებით. იგი მოძრაობის ლიდერ ლევონ ტერ-პეტროსიანს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს - ვაზგენ მანუკიანს შორის მიმდინარეობდა. შიდაპარტიულ დაპირისპირებაში ტერ-პეტროსიანმა გაიმარჯვა, ხოლო მანუკიანმა თავისი კანდიდატურა მოხსნა. დაპირსპირების შედეგად ვ. მანუკიანი მხარდამჭერებთან ერთად სომხეთის საერთოსახალხო მოძრაობას გამოეყო და ეროვნულ-დემოკრატიული კავშირი შექმნა. არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვა ლ. ტერ-პეტროსიანი (Abrahamyan, 2019).

პირველი გამოწვევები

პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ პროცესები არაერთგვაროვნად

განვითარდა საქართველოსა და აზერბაიჯანში. სომხეთში ძირითადი მოვლენები ყარაბახის ომის ირგვლივ ვითარდებოდა, ხოლო საპრეზიდენტო ინსტიტუტი ძირითადად უცვლელად აგრძელებდა ფუნქციონირებას.

საქართველო.

საქართველოში საყოველთაო არჩევნები დაჩქარებულად, მოკლე ვადებში უნდა ჩატარებულიყო. სააგიტაციო პერიოდში, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, რომელიც ერთ-ერთ ცენტრალურ გამოცემას წარმოადგენდა, ყველა ნომერში იბეჭდებოდა საპრეზიდენტო კანდიდატ - პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი განცხადებები, მოწოდებები, წერილები და ა.შ.; ერთეულ შემთხვევებში ასევე გვხდება სხვა გაერთიანებებისა და პარტიების მოწოდებებიც. ასევე, ამ პერიოდში უზენაესმა საბჭომ რიგი გადაწყვეტილებებისა მიიღო ზ. გამსახურდიას სასარგებლოდ - საგანგებო ცვლილებით საარჩევნო კანონში არჩევნებში მონაწილეობა შეეზღუდა მის კონკურენტს (,,საქართველოს…” (8), 1991; ,,ცენტრალურ…”, 1991; ჯონსი, 2013). ს. ჯონსი მიუთითებს, რომ ამავე პერიოდში, გამსახურდიამ ოპოზიციის კანდიდატებს სახელისუფლებო პრესის გამოყენება აუკრძალა (ჯონსი, 2013), არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე კი მიიღო კანონი პრეზიდენტის შეურაცხყოფის აკრძალვის შესახებ (,,საქართველოს…” (9), 1991: 1). გაიზარდა მედიის კონტროლი და მედიას პრეზიდენტის შეურაცხმყოფელ ან მის მიმართ ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში დახურვა ემუქრებოდა. მოგვიანებით, მოსკოვში პუტჩის მცდელობის შემდეგ აიკრძალა საქართველოს კომუნისტური პარტია და ამ პარტიით უზენაეს საბჭოში მოხვედრილ დეპუტატებს გაუუქმდათ მანდატები (,,საქართველოს…” (10), 1991; ,,საქართველოს... (11), 1991). ამ პროცესების პარალელურად, საქართველოში პოლიტიკური დღის წესრიგზე დიდ გავლენას სხვადასხვა სახის დაპირისპირებები და შეტაკებები ახდენდა. მიუხედავად ამისა, გამსახურდიამ დამაჯერებლად გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში. თუმცა, საპრეზიდნეტო ინსტიტუტის შინაარსი ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ზოგადი იყო, რადგან მმართველობის სისტემაც ზოგადი იყო, პრეზიდენტის თანამდებობა მხოლოდ დროებითი კანინით რეგულირდებოდა, ახალი კონსტიტუცია კი, ჯერ არ იყო მიღებული. არჩევნებმა პოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში კიდევ უფრო გაამძაფრა. ხელისუფლების და ოპონენტების ურთიერთობა 1990 წლის პროტესტებიდან თანდათანობით დევნაში,

დაპატიმრებებში და შეტაკებებში გადაიზარდა. 1991 წლის ბოლოს პოლიტიკური კრიზისი ჩიხში შევიდა. ზ. გამსახურდიას მმართველობის ოპონენტები (როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ) აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ. პროცესები სამხედრო დაპირისპირებამდე მივიდა და ხელისუფლების დამხობით დასრულდა. ძალაუფლება 1991 წლის დეკემბერში სამოქალაქო ომის დროს შექმნილი სამხედრო საბჭოს ხელში გადავიდა. მასში ჯ. იოსელიანი, თ. კიტოვანი და თ. სიგუა შევიდნენ (ჯონსი, 2013). ქვეყნის პრეზიდენტი და მისი მომხრეების ნაწილი ქვეყნიდან განიდევნენ. სამხედრო საბჭომ დროებით შეაჩერა კონსტიტუცია, დაითხოვა პარლამენტი, გადააყენა პრემიერ-მინისტრი, გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და ა.შ (კიტოვანი, იოსელიანი, 1992).

აზერბაიჯანი

1992 წლის დასაწყისიდან მთიანი ყარაბახის რეგიონში წარუმატებლობის ფონზე იზრდებოდა პრეზიდენტის კრიტიკა აზერბაიჯანის ეროვნული ფრონტის მხრიდან. იმატა პროტესტების და მიტინგების რაოდენობამ. 5 მარტს, ხოჯალის ტრაგედიაზე საუბრისას ა. მუტალიბოვი აღწერდა იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც იგი აღმოჩნდა. 6 მარტს იგი გადადგა (Фурман, Абасов, 200; Аяз…, 2022). ქვეყნის მეთაურად, დროებით, იაკუბ მამედოვი გახდა. თუმცა, ქვეყანაში კრიზისის გაღრმავების და ყარაბახში მნიშვნელოვანი მარცხის ფონზე, მუტალიბოვის მხარდამჭერებმა პროტესტი წამოიწყეს. 14 მაისს უმაღლესმა საბჭომ ქვეყანაში განვითარებულ პროცესებთან ერთად პრეზიდენტის გადადგომის ლეგიტიმურობის საკითხი განიხილა და 6 მარტის გადადგომის გადაწყვეტილება ანულირებული იყო. მუტალიბოვი დაბრუნდა ხელისულებაში და ამავე სხდომაზე გამოაცხადა, რომ თუ ქვეყანას სჭირდებოდა დიქტატორი, ქვეყნის კატასტროფისგან გადასარჩენად, იგი იყო ასეთი დიქტატორი. ეროვნული ფრონტის პროტესტის და მომიტინგეთა მოქმედების შედეგად, 15 მარტს, მცირე შეტაკების შემდეგ, პრეზიდენტის სასახლე აიღეს, ხოლო პრეზიდენტმა ქვეყანა დატოვა (Фурман, Абасов, 2001).

მუტალიბოვის წასვლის შემდეგ, ჯერ კიდევ მოქმედმა უმაღლესმა საბჭომ უფლებამოსილება ეროვნულ საბჭოს გადასცა. მცირე ხანში, 7 ივნისს, ჩატარდა პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნები, რომელშიც გამარჯვება აზერბაიჯანის ეროვნული ფრონტის ლიდერმა - აბულფაზ ელჩიბეიმ მოიპოვა. (Фурман, Абасов, 2001).

აბულფაზ ელჩიბეი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, აღმოსავლეთმცოდნე იყო.

იგი ფაქტიურად არ მიეკუთვნებოდა ქვეყანაში არსებულ გავლენიან ჯგუფებს. საბჭოთა პერიოდში ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით იხდიდა სასჯელს. ელჩიბეი 1990-იან წლებამდე გვარად ალიევი იყო, თუმცა აზერბაიჯანის ეროვნული ფრონტის ლიდერობის პერიოდში საკუთარი ფსევდონიმი „ელჩიბეი“ (ხალხის ელჩი) გვარად აქცია (Епишина, (1) 1999). არჩევის შემდეგ მან განაცხადა, რომ ქვეყანაში გამოკვეთილი ხელისუფლების კრიზისის ფონზე, მას კანონმდებლობის შეცვლა და ახალი კონსტიტუციის მიღება სურდა, რომელშიც გათვალისიწნებული იქნებოდა ხელისუფლების დაყოფა და კონტროლის მექანიზმები (Иванов-Смоленский, Самедов, 1992).

წარუმატებელი ომის, კრიზისის, დაპირისპირებების გამო ხელისუფლების მხარდაჭერა თანდათანობით შემცირდა. 1993 წლის ს. ჰუსეინოვის აჯანყებას ხელისუფლების ცვლილება მოჰყვა. ჯერ ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ალიევი გახდა; ხოლო 15 ივნისს, როცა დარისიპირებების და აჯანყებულთა მოქმედებების ფონზე პრეზიდნეტი ელჩიბეი ნახიჩევანში გაემგზავრა, მას უნდობლობა გამოყცხადეს. 24 ივნისს ეროვნულმა საბჭომ მას უფლებამოსილება შეუზღუდა, ხოლო 29 აგვისტოს რეფერენდუმის ძალით მას უნდობლობა მოსახლეობამაც გამოუცხადა (Фурман, Абасов, 2001).

ძალაუფლება ჰეიდარ ალიევის ხელში აღმოჩნდა. იგი საბჭოთა პერიოდში ძალოვან სტრუქტურებში, მათ შორის უშიშროების სამსახურში, მუშაობდა. შემდგომ პარტიული ლიდერი იყო - ჯერ აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, შემდეგ კი სსრკ-ს პოლიტბიუროს წევრი. 1990 წელს კომუნისტური პარტია დატოვა. 1991-1992 წლებში ნახიჩევანის მეჯლისის თავმჯდომარე გახდა. ასევე პარტია ახალი აზერბაიჯანის (მმართველი პარტია აზერბაიჯანში) დამფუძნებელი იყო (Алиев…, 2003). იგი, დიდი ხნის განმავლობაში, იყო ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკური ფიგურა აზერბაიჯანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1993 წლის 3 ოქტომებრს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში იგი დამაჯერებლად იმარჯვებს. არჩევნების შემდეგ მან განაცხადა, რომ ქვეყანა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამიტომ მისი მთავარი ამოცანა ქვეყნის ომიდან გამოყვანა და მოქალაქეებისთვის მშვიდ გარემოში ცხოვრების პირობების შექმნა იყო (Андриянов, Мираламов, 2005).

საქართველოში ხელისუფლების დამხობის შემდეგ მოქმედი სამხედრო საბჭო, სხვა პრობლემებთან ერთად, ორი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა: ლეგიტიმაციის და პოლიტიკური ლიდერის პრობლემა. მმართველობითი სისტემის ფორმასა და შინაარსზე მუშაობის დაწყებამდე საბჭომ 21 თებერვალს დეკლარაცია მიიღო, რომლის მიზანიც წინა ხელისუფლების არალეგიტიმურობის ჩვენება, საკუთარი ლეგიტიმაციისათვის საფუძვლის შექმნა და პოლიტიკური ველის ცვლილებებისათვის მოზადება იყო. დეკლარაცია ზ. გამსახურდიას არალეგიტიმურ, ავტორიტარ და უზურპატორ მმარტველად აცხადებდა (კიტოვანი, იოსელიანი (2), 1992). სამხედრო საბჭომ ე.წ. „ეროვნული კრება“ მოიწვია საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით (გარდა დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენლებისა (ბაბეკი, 2013).

ქვეყნის ლიდერად სამხედრო საბჭომ საქართველოში ყოფილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა და სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი - ედუარდ შევარდნაძე მოიწვია. საქართველოში დაბრუნებული შევარდნაძე საზოგადოებისათვის მსოფლიო მნიშვნელობის ქართველ პოლიტიკოსად და ქვეყნის გადამრჩენელად იყო წარდგენილი. თავად შევარდნაძესაც სურდა, რომ იგი, საბჭოთა წარსულის მიუხედავად, ახლებურად ყოფილიყო აღქმული. საქართველოში ჩამოსვლის დღეს მან განცხადა: „ჩამოვედი როგორც პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ჩამოვედი იმისათვის, რომ მკლავები დავიკაპიწო და ჩემს ხალხთან ერთად ვიშრომო და ვიღვაწო ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად“ (ჭელიძე, 1992). იგი საკუთარ თავს წარმოაჩენდა როგორც პოლიტიკოსი, საერთაშორისო ავტორიტეტი (ორლიკი, ურიგაშვილი, 1992), რომელმაც დიდი როლი ითამაშა ბერლინის კედლის დანგრევაში, გერმანიის და მისი ხალხის გადარჩენაში, მსოფლიო მნიშვნელობის ცვლილებაში (შევარდნაძე, 1992; ,,ბატონ…”, 1992). მისი პიროვნება საბჭოთა კავშირისგან და მისი მემკვიდრეობისგან განყენებულად რომ ყოფილიყო დანახული, იგი ხაზს უსვამდა თავის მონაწილეობას საბჭოთა რეჟიმის ბოროტების დაძლევაში (,,Eduard…”, 1992), ტოტალიტარიზმის ბოროტებასთან და საბჭოურ მმართველობასთან ბრძოლაში (შევარდნაძე, 1992; ორლიკი, ურიგაშვილი, 1992; შევარდნაძე (2), 1992). მისი „ახალი იმიჯი“ იქმნებოდა და ტირაჟირდებოდა რადიოინტერვიუების, გამოსვლების, შეხვედრების მეშვეობით.

პოლიტიკურ ველზე დომინაცია, როგორც ითქვა, ექსკლუზიურობას საჭიროებდა. პ. ბურდიეს აზრით, საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით ერთადერთი, შეუცვლელი და გარდაუვალი სიმართლის წარმოების და გავრცელების საშუალებაზე კონტროლი პოლიტიკური აგენტისათვის პოლიტიკურ ველზე მობილიზაციის და მონოპოლიისათვისაა აუცილებელი. პოლიტიკურ ველზე არსებობა კი, ნიშნავს იყო განსხვავებული, ხოლო მსგავსება არარსებობის ტოლფასია. ამავდროულად, ოპოზიციაში ყოფნა პოლუსის ორივე მხარეს აძლევს სარგებელს, რადგან ამ ოპონირებით ორივე პოლიტიკური სუბიექტი ინარჩუნებს ადგილს ამ სივრცეში, ღებულობს სარგებელს და აქვს საშაულება შედარებებზე მინიშნებით დარჩეს განსხვავებული, ექსკლუზიური (Социоанализ…, 2001). გამოკვეთილი ოპონენტის არსებობა ედუარდ შევარდნაძეს საშუალებას აძლევდა უკეთ წარმოეჩინა თავისი პოზიცია, ხოლო მასთან ბრძოლით - საკუთარი შეუცვლელობისათვის გაესვა ხაზი. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში რთული ვითარება იყო, ითვლებოდა, რომ მთავარი საფრთხე ზ. გამსახურდიასგან და მისი მხარდამჭერებისგან მოდიოდა. დაძაბულობის სხვადასხვა კერების მიუხედავად, გრძელდებოდა დაპირისპირება დამხობილი ხელისუფლების მხარდამჭერებთან, რომლებიც პერიოდულ წარმატებებსაც აღწევდნენ (ჯონსი, 2013; ,,სიცოცხლის…", 1993). თავის გამოსვლებსა და ინტერვიუებში იგი უარყოფითად აფასებდა ზ. გამსახურდიას ნაბიჯებს, მის დანატოვარს და მისი მომხრეების მოქმედებას. იგი თვლიდა, რომ წინა ხელისუფლებამ ადამიანებში შავბნელი ძალები გამოაღვიძა (,,ედუარდ…" (2), 1992), რის გამოც მისი დამხობის სურვილი საზოგადოებაში ლოგიკური იყო (,,ვაშენოთ…", 1992) და ამიტომაც მან დაუჭირა მხარი ამ გადაწყვეტილებას (,,ედუარდ…" (2), 1992). შევარდნაძის მხრიდან ამ პროცესებში ცალკეული ლიდერის დამსახურების გამოკვეთა, პოლიტიკურ ველზე მათი როლის აღიარებას და დაშვებას გამოიწვევდა; ამიტომ, იგი ხელისუფლების დამხობას წარმოაჩენდა როგორც შორსმჭვრეტელი და ბრძენი ხალხის გადაწყვეტილებას - „რა პლურალისტურიც არ უნდა იყოს შეფასებები, მთავარი მაინც ის არის, რომ დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროს ქართველმა ხალხმა მოახდინა ისტორიულად მნიშვნელოვანი არჩევანი ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარების სასარგებლოდ, დაგმო და დაამხო ავტორიტარიზმი და დიქტატურა" (,,ვაშენოთ…", 1992).

ლეგიტიმაცია

1992 წლისათვის პოლიტიკურ ველზე ლეგიტიმაციის მიღწევა და საკუთარი დომინანტური ადგილის გამოკვეთა ე. შევარდნაძის ძირითადი მიზანი იყო. ლეგიტიმაციის არარსებობას ის პირად გამოწვევად მიიჩნევდა, რადგან ეჭვქვეშ დგებოდა მისი წლების განმავლობაში დაგროვებული, და ჯერ კიდევ აქტუალური, კაპიტალი. არალეგიტიმურობის პირობებში სათუო ხდებოდა ყველაფერი: „თუ არჩევნები არ გაიმართა, ეს იქნება უბედურება ჩვენი ხალხისათვის. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ კანონიერ, ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებასთან გვქონდეს საქმე, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მე არაფერი მესაქმება მაშინ და ჩემი პრინციპებისთვის მიუღებელია ის, რომ შევეგუო ქვეყანაში სრული ქაოსის გამოფენას, ანდა დიქტატორული რეჟიმის დამყარებას“ (,,ედუარდ…” (4), 1992).

საზოგადოების მობილიზაციისათვის იგი შემაგულიანებელი ტექსტებით ხსნიდა, რომ ხელისუფების დამხობის შემდეგ წარმოქმნილი ვითარება უნდა შეცვლილიყო არჩევნების მეშვეობით (იქვე), რასაც შეეძლო ქვეყანის კრიზისიდან გამოყვანა (ჩიქოვანი, 1992), გაჩნდებოდა წესრიგის დამყარების იმედი (,,ედუარდ…” (5), 1992), ამორფული ხელისუფლება გარდაიქმნებოდა რეალურად (,,ედუარდ…” (4), 1992) და საბოლოოდ გადაწყდებოდა ერის და ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი (“ეროვნული…”, 1992). მობილიზაციის საჭიროებას იგი მოსახლეობის დაინტერესებულობას უკავშირებდა - ლეგიტიმაცია უმთავრესად ხალხის, საზოგადოების სურვილი იყო, ამიტომ არჩევნების მნიშვნელობაზე განაცხადს იგი ხალხის სახელით და ხალხის ინტერესების დაცვით აკეთებდა (,,ვაშენოთ…”, 1992).

მმართველობის ფორმა პრინციპულად განსხვავებული უნდა ყოფილიყო ზ. გამსახურდიას მმართველობისგან, მაგრამ განსხვავებული მიდგომის შემუშვების შემთხვევაშიც ახალი რეჟიმი დამხობილი ხელისუფლების მმართველობის სისტემას დაეყრდნობოდა. ასეც მოხდა კანონმდებლობის შემთხვევაში. მმართველობის ახალი მოდელის შემუშავება დიდ დროს და რესურსებს მოითხოვდა, რაც არალეგიტიმურ დე-ფაქტო ხელისუფლებას არ ჰქონდა. წინა ხელისუფლებასთან განსხვავების საჩვენებლად, სახელმწიფო საბჭომ დისკუსია ქვეყნის მომავლის (საპარლამენტო რესპუბლიკის) შესახებ წამოიწყო, რაშიც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების და პარტიების წარმომადგენლები ჩართო (ზ. გამსახურდიას მხარდამჭერების გარდა) (,,საქართველოს…” (12), 1992; ,,ვაშენოთ…”, 1992).

სახელმწიფოს მეთაური

ღიად რჩებოდა მმართველის ვინაობა და აღმასრულებელი ხელისუფლების რაობა. თავის მხრივ, ს. ჯონსი მიიჩნევს, რომ შევარდნაძემ იცოდა საკუთარი არაპოპულარობის შესახებ, ამიტომ არ ცდილობდა ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლების ჩამოყალიბებას (ჯონსი, 2013). ჩვენი აზრით, ე. შევარდნაძეს სჭირდებოდა ლეგიტიმაციის ისეთი ხარისხი, რომელიც მომავალში მას უკეთეს პოზიციაში აღმოაჩენდა. მიუხედავად იმისა, რომ აქცენტი საპარლამენტო რესპუბლიკაზე კეთდებოდა, იგი არ აპირებდა პოლიტიკურ ველზე დომინანტი პოზიციის დათმობას. ამიტომ, საპარლამენტო მმართველობაზე საუბრისას ხაზგასმით აღნიშნავდა ძლიერი მმართველობის აუცილებლობას („ვაშენოთ…", 1992); მეტიც, საზოგადოებისათვის იგი აცხადებდა, რომ ძლიერ პარლამენტის პირობებში ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლების არსებობა საჭირო იყო, რადგან „დემოკრატიას დაცვა სჭირდება" („ძლიერი…", 1992). ამიტომ, არჩევნები ისე უნდა ჩატარებულიყო, რომ შევარდნაძეს შეძლებოდა ერთდროულად მისდამი ნდობის დადასტურებაც და პოლიტიკურ ველზე საკუთარი განსაკუთრებულობის ხაზგასმაც. 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნები ორი თავისებურებით გამოირჩეოდა: ის ტარდებოდა შერეული (პარალელური) საარჩევნო სისტემით, რომლის ფარგლებშიც პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების დროს ამომრჩეველი პრეფერენციულ არჩევანს აკეთებდა (უფლება ქონდა ხმა მიეცა ერთი, ორი ან სამი საარჩევნო სუბიექტისათვის) (კანდელაკი, 2020). მეორე, ე. შევარდნაძე არჩევნებში მონაწილეობას იღებდა როგორც პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატი. არჩევნებამდე თავის გამოსვლებში და შეხვედრებისას იგი მიუთითებდა, რომ ეს გადაწყვეტილება კონსენსუსის შედეგი იყო („ვაშენოთ…", 1992) და რომ ეს იდეა სახელმწიფო საბჭოს ეკუთვნოდა (იქვე). ამ არჩევნებში მას კონკურენტი არ ჰყავდა ("ედუარდ…" (6), 1992). ფაქტიურად, არჩევნების ასეთნაირად ჩატარება ლეგიტიმურობასთან ერთად განსაკუთრებულობის და გამორჩეულობის იმგვარ ხარიხს მიანიჭებდა, რომ წარმატების შემთხვევაში (რაც ფაქტიურად გარდაუვალი იყო) ძლიერი მმართველობის იდეის განხორციელება მხოლოდ დროის საკითხი იქნებოდა.

არჩევნების შედეგების მიხედვით ახალი პარლამენტის პირველი სხდომა 1992 წლის 4 ნოემბერს ჩატარდა („ქვეყნის…", 1992), ხოლო 5 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო დადგენილებები ხელისუფლების შესახებ და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის

სახელმწიფო მეთაურად შესაძლო არჩევის შესახებ („ედუარდ…" (7), 1992) და ამ პოსტზე 6 ნოემბერს შევარდნაძე აირჩია („საქართველოს …" (12), 1992); ასევე პარლამენტმა მიიღო ერთგვარი დროებითი კონსტიტუცია („საქართველოს…" (13), 1992). ამგვარად, ედუარდ შევარდნაძე, ერთდროულად საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე და აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფოს მეთაური გახდა.

კონსტიტუცია და პრეზიდენტის ინსტიტუტი

საქართველო

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მომზადება და მომავალი აღმასრულებელი ხელისუფლების შემუშავება ახალი პარლამენტის ძირითად მიზნად განისაზღვრა. პრეზიდენტის ინსტიტუტის აღდგენა (თუ შემოღება) არ განიხილებოდა, რადგან თავად ტერმინ „პრეზიდენტის" გამოყენებისგანაც თავს იკავებდნენ ზვიად გამსახურდიას გამო (ბაბეკი, 2013). პოლიტიკურ ველზე ე. შევარდნაძემ თანდათანობით განიმტკიცა პოზიციები - პარლამენტში მის გავლენას მაჟორიტარი დეპუტატები განაპირობებდნენ, რის გამოც მისი ინიციატივების მნიშვნელოვან ნაწილს უჭერდნენ მხარს (ჯონსი, 2013); ოპონენტების და ყოფილი მოკავშირეების ნაწილიც კი ჩამოშორდნენ (ან ჩამოაშორეს) პოლიტიკას (ჯონსი, 2013; Radio Free Europe, 1998).

1993 წელს შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია (ბაბეკი, 2013). თუმცა, კონსტიტუციის ტექსტზე მუშაობა აქტიურად 1993 წლის შემდეგ, ქვეყანაში ერთგვარი სტაბილიზაციის შემდეგ გახდა შესაძლებელი. საბოლოოდ, ახალი კონსტიტუციის შემუშავების პროცესში უპირატესობა ძლიერ საპრეზიდენტო ინსტიტუტს მიენიჭა. როგორც ვ. ბაბეკი აღნიშნავს, კონსტიტუციის საბოლოო ვერსიის შემუშავება ე. შევარდნაძის მონაწილეობით და ზეგავლენით, ფაქტიურად მასზე მორგებით მიმდინარეობდა (ბაბეკი, 2013). პრეზიდენტის ინსტიტუტის საკითხის განხილვისას ხაზი გაესვა ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის აუცილებლობას: „ხელმძღვანელობის ფორმების არჩევისას ჩვენ გადავწყვიტეთ, 1921 წლის კონსტიტუციის ახალი ფორმები გაგვეანალიზებინა დღევანდელ რეალობებთან შესაბამისობაში. ჩვენ დღეს ავტორიტარიზმის გარკვეული ელემენტები გვჭირდება. მე ამაში ვგულისხმობ ძლიერ ხელს გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღებისას და აღსრულებისას. აქ არის ერთი წინააღმდეგობა: მიუხედავად პირდაპირი არჩევნებისა და

დიდი ნდობისა, პრეზიდენტს არ შეუძლია გადაწყვეტილების მიღება დამოუკიდებლად. მისი უფლებები უნდა გაძლიერდეს” (იქვე).

საჯარო გამოსვლებისას პროცესი სხვაგვარად აღიწერებოდა. შევარდნაძე ჯიუტად იმეორებდა, რომ ახალი მმართველობის სისტემა არ ზღუდავდა პარლამენტის უფლებებს (ძლიერი პარლამენტი, ძლიერი პრეზიდენტი) („ძირითად…”, 1995; „გაუმარჯოს…”, 1995; „ისტორიული…”, 1995) და რომ ამგვარი მოდელი საჭირო და სასურველი იყო: „…სახელმწიფოს მართვის ის ფორმა, რომელიც პარლამენტში შეთანხმდა, ესე იგი, საპრეზიდენტო მმართველობა, ყველაზე უფრო ეფექტიანი და ყველაზე უფრო იაფი იქნება. …მინდა ვაცნობო მოსახლეობას, რომ დღეში ორჯერ ვიღებ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორია მოსახლეობის რეაგირება, რას იწონებენ და რას – არა. ჯერჯერობით პარლამენტი სწორი მიმართულებით მიდის. დაახლოებით უპასუხებს მოსახლეობის განწყობილებასა და სურვილს, რომ იყოს ძლიერი ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია ქვეყანა საბოლოოდ დააყენოს სასიკეთო გზაზე“ („სახელმწიფო…”, 1995). ასევე, მედიაში საბოლოო ვერსია წარმოჩენილი იყო როგორც ფართო კონსენსუსის შედეგი: „საბოლოოდ, სარეიტინგო გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ პარლამენტი მხარს უჭერს პრეზიდენტის ინსტიტუტს, რომლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური“ („სარეიტინგო…”, 1995).

საქართველოს პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია, მნიშვნელოვანი საპრეზიდენტო უფლებამოსილებებით, 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო. 1995 წლის 1 სექტემბერს საგანგებო სესიაზე მიღებული იყო კანონები პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნების შესახებ და არჩევნების თარიღად დადგინდა 5 ნოემბერი (თათრულიაძე, 1995). ამგვარად, პოლიტიკურ ველზე მიღწეული უპირატესობა 1995 წლის არჩევნებში გამოვლინდა კიდევაც: ორივე არჩევნებში ე. შევარდნაძემ გაიმარჯვა, როგორც პრეზიდენტმა (“ედუარდ…” (8), 1995) და პარტიის „მოქალაქეთა კავშირი“ ლიდერმა („ძლიერი…”, 1995: 1-2).

ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა იყო შემოღებული, ქვეყანაში ძირითადი პრობლემების დაძლევა ვერ მოხერხდა. ფაქტიურად, საპრეზიდენტო ინსტიტუტი ხელისუფლების გახანგრძლივების ინსტრუმენტად იქცა, განსაკუთრებით არჩევნებზე ზემოქმედების თვალსაზრისით. სხვადასხვა მიზეზთა გამო, 2000-იანი წლებში დაიწყო კონსტიტუციის რევიზიის პროცესი,

რომელსაც აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა შეეცვალა.

სომხეთი

1991 წლის არჩევნების შემდეგ ქვეყნის მმართველი ლ. ტერ-პეტროსიანი იყო. სოხეთის კონსტიტუცია 1995 წელს საყოველთაო რეფერენდუმით იყო მიღებული. ამ კონსტიტუციით განისაზღვრა მმართველობის საპრეზიდენტო ფორმა, რომელიც, ფაქტიურად, 2018 წლამდე შენარჩუნდა. 1995 წლიდან იგი იცვლებოდა და თანდათანობით შერეულ, საპარლამენტო-საპრეზიდენტო მმართველობის ფორმისკენ იხრებოდა. ს. ასტურიანი მიიჩნევს, რომ სომხეთში პრეზიდენტის ინსტიტუტი „ჰიპერსაპრეზიდენტო“ იყო, რადგან პრეზიდენტს შეეძლო არა მარტო პრემიერ-მინისტრის და მინისტრების, არამედ გენერალური პროკურორის, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების და სხვადასხვა დონის მოსამართლებიის დანიშვნა, პარლამენტის დათხოვნა, ახალი არჩევნების დანიშნვა და ა.შ. (Astourian, 2000-2001). 1996 წელს საეჭვო არჩევნების გამო გამოწვეული პროცესების გამო ლ. ტერ-პეტროსიანი გადადგა და ახალ არჩევნებით პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი გახდა. ამ პერიოდში რეალური გავლენა თავდაცვის მინისტრს ვაზგენ სარგსიანს ჰქონდა. იგი 1999 წლის 27 ოქტომბრის ტერაქტის შედეგად დაიღუპა, რის შემდეგ მთელი ძალაუფლება რ. ქოჩარიანის ხელში გადავიდა, რომელსაც მხარს სერჟ სარგისიანი (მომავალი პრეზიდენტი) უჭერდა (იქვე).

აზერბაიჯანი

ჰ. ალიევის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შემუშავდა კონსტიტუცია, რომელიც საერთო სახალხო რეფერნდუმის გზით 1995 წლის 12 ნოემბერს მიიღეს. კონსტიტუცია თავიდანვე ითვალისწინებდა პრეზიდენტის ფართო უფლებამოსილებას მინისტრთა კაბინეტის დათხოვნის, საკონსტიტუციო, უმაღლესი და სააპალეციო სასამართლოს მოსამართლების, ეროვნული ბანკის მმართველი საბჭოს წევრების დანიშვნის უფლებას და სხვა უფლებამოსილებს. როგორც მთავარსარდალი იგი სამხედრო საბჭოსაც განაგებდა. მოგვიანებით მასში რეფერენდუმის გზით სამჯერ შევიდა ცვლილებები, რომელთა ნაწილი, პირდაპირ ან ირიბად, პრეზიდენტის უფლებამოსილებებს ეხებოდა. ასე, 2002 წლის 24 აგვისტოს ცვლილებით დაზუსტდა პრეზიდენტის არჩევის წესი და უფლებამოსილების პრემიერ-მინისტრზე გადაცემა, ეს პოსტი, იმ პერიოდში, ჰეიდარ ალიევის შვილს და

მომავალ პრეზიდენტს - ილჰამ ალიევს ეკავა; 2009 წლის 24 აგვისტოს ცვლილებებით გაუქმდა პრეზიდენტად არჩევის 2 ვადით შეზღუდვა, პრეზიდენტის უფლებამოსილების გახანგრძლივების შესაძლებლობა საომარი მოქმედებების შემთხვევაში; 2016 წლის 26 სექტემბრის ცვლილებებით შემოღებული იყო ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა, საპრეზიდენტო ვადა გაიზარდა 5-დან 7 წლამდე, პრეზიდენტმა მიიღო მილი მეჯლისის დათხოვნის უფლება და სხვადასხვა თანამდებობებზე კანდიდატების ასაკობრივი შეზღუდვა გაუქმდა. ვიცე პრეზიდენტი ილჰამ ალიევის მეუღლე - მეჰრიბან ალიევა გახდა (Рустамзаде, 2016).

პრეზიდენტის ინსტიტუტის ახალი ცვლილება საქართველოში.

2000-იანი წლების დასაწყისში პრეზიდენტის ნდობისა და მხარდაჭერის ხარისხმა თანდათანობით იკლო და საზოგადოება ახალი ცვლილებების საჭიროების წინაშე აღმოჩნდა. 2003 წლის არჩევნები დარღვევების, ფალსიფიკაციის, ქაოსის და დაძაბულობის პირობებში ჩატარდა. თბილისში საპროტესტო აქციები დაიწყო. ახლადარჩეული პარლამენტის პირველ სხდომაზე არჩევნების შედეგების ლეგიტიმაციის მცდელობა მომიტინგეებმა ჩაშალეს. ვარდების რევოლუციას საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით პროპორციული არჩევნების შედეგების გაუქმება, პრეზიდენტის გადადგომა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნა მოჰყვა (მჭედლიშვილი, 2003). მიუხედავად ამისა, 1991 წლის პროტესტისგან განსხვავებით, 2003 წლის საზოგადოებრივი პროტესტების მიზანი კონსტიტუციის დაცვაში გამოიხატებოდა (კანდელაკი, 2006).

ოპოზიციურ ლიდერებს შორის მიხეილ სააკაშვილი გამოირჩეოდა, რომელმაც განათლება ა.შ.შ.-ში მიიღო და ერთხანს იქ მუშაობდა. მას თავისებური და განსხვავებული მიდგომა, რიტორიკა და ცვლილებებზე ორინტირება გამოარჩევდა. სააკაშვილის პოპულარობას ასევე დამოუკიდებელი მედიის არსებობა განაპირობებდა. ეს იმ პირობებში, როცა კანონმდებლობა ხელისუფლებას უტოვებდა საშუალებას მედიის საქმიანობის თავისებური ინტერპრეტაცია მოეხდინა და საჭიროებისას აეკრძალა კიდევაც (საქართველოს…(12), 1991). ასე, ტელეკომპანია რუსთავი 2, რომლის დახურვის მცდელობაც რევოლუციამდე რამდენიმე წლით ადრე იყო, მომავალი მოვლენების ერთგვარ პრელუდიად მიიჩნეოდა (,,რუსთავი … 2001; ,,საპროტესტო…", 2001; ,,მთავრობა…", 2001). დამოუკიდებელი ტელევიზიის არსებობა, რაც საქართველოს სხვა პოსტსაბჭოთა

რესპუბლიკებიდან გამოარჩევდა, გამოიწვია ის, რომ იგი აქტიურად აშუქებდა მიტინგებს და სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების დაახლოებას შეიწყო ხელი (Fairbanks, 2004).

ხელისუფლების ამ ცვლილების შემდეგ განახლდა დისკუსია საპრეზიდენტო ინსტიტუტის ცვლილებასათან დაკავშირებით, რომელიც ე. შევარდნაძის შემოთავაზებული მოდელის სახეცვლილი ვარიანტი იქნებოდა. მაგრამ, ამ ცვლილებების განსახორციელებას ხელს ერთგვარი გარდამავალი პერიოდი უშლიდა, რომელიც ხელისუფლების ცვლილებით იყო გამოწვეული. საჭირო იყო ლეგიტიმაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება და სხვადასხვა სამართლებრივი ცვლილების განხორციელება. ამიტომ, ახალი პარლამენტის არჩევამდე უფლებამოსილება გაუგრძელდა 1999 წელს არჩეულ პარლამენტს. პარალამენტმა 2003 წლის 25 ნოემბრის რიგგარეშე სესიაზე პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები 2004 წლის 4 იანვარს დანიშნა (საქართველოს პრეზიდენტის…, 2003). დე-ფაქტო მმართველმა პარტიებმა პრეზიდენტობის კანდიდატად მ. სააკაშვილი დაასახელეს (,,მიხეილ…”, 2003).

პრეზიდენტის „გაახლებული“ ინსტიტუტი.

საპრეზიდენტი არჩევნებში მ. სააკაშვილმა დამაჯერებლად გაიმარჯვა (,,გუშინ…”, 2004). არჩევნებიდან მეორე დღეს, მან განაცხადა, რომ იგეგმებოდა კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელება, რომლის მთავარი მიზანი პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შემოღება იქნებოდა (კვესიტაძე, 2004). საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად ასევე დაგეგმილი იყო პრეზიდენტის უფლებამოსილების გაზრდა და პარლამენტის გარკვეული დასუსტება. ხელისუფლებაში მოსული ახალი ლიდერები პოლიტიკური ველის ტრანსფორმაციას ახალი პარლამენტის არჩევნებამდე და ძველი პარლამენტის უფლებამოსილების პერიოდში ცდილობდნენ. ერთ-ერთი ცვლილება თავად დეპუტატების იმუნინეტთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ეს ცვლილება პარლამენტმა არ მიიღო (,,საქართველოს…”, 2004). სამაგიეროდ, საკონსტიტუციო ცვლილების იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც ხელისუფლებას ეხებოდა, დამოკიდებულება უფრო დადებითი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ცვლილების დაანონსებიდან მის მიღებამდე თითქმის ერთი თვე იყო, მისი განხილვა თავისებურად წარმართა. მედიაში პერიოდულად იბეჭდებოდა მასალები, რომლებიც ამ საკითხის ირგვლივ მიმდინარე დებატებს და

კრიტიკას ეხებოდა (კვესიტაძე, 2004; კვესიტაძე (2), 2004; ასანიშვილი, 2004; მელიქაძე, 2004; ასანიშვილი (2), 2004; ,,კობა…", 2004; ,,პატივი…", 2004; ასანიშვილი (3), 2004; გახარია, საბაშვილი, 2004; ასანიშვილი (4), 2004; ზურაბუშვილი, 2004; აფრასიძე, 2004). სააკაშვილი თვლიდა, რომ ქვეყანაში ცვლილებების და რეფორმებისათვის საჭირო იყო ახალი სისტემის შექმნა, რომელიც „პოლიტიკური კრიზისების თავიდან აცილების და მათი გადაწყვეტის ბევრად უფრო მოქნილ, დახვეწილ და ნაკლები რისკის მქონე მექანიზმებს" ("საჯარო…", 2004). ამაში მას მხარს უჭერდნენ სხვა ლიდერებიც. ითველობდა, რომ ეს სისტემა სამთავრობო გუნდის კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე იქნებოდა დამყარებული (თევზაძე, 2004) - პრემიერ-მინისტრი ყოველდღიური საკითხებით იქნებოდა დაკავებული, ხოლო პრეზიდენტი განსაზღვრავდა და გააკონტროლებდა ძირითად მიმართულებებს (ასანიშვილი (6), 2004).

ოპონენტები საკონსტიტუციო ცვლილებების გამოქვეყნების და საჯარო განხილვის აუცილებლობაზე საუბრობდნენ. ცვლილებების წინააღმდეგ ასევე გამოდიოდნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები (მჭედლიშვილი, 2004), ექსპერტები (მელიქაძე, 2004; გახარია, საბაშვილი, 2004; ზურაბიშვილი, 2004; აფრასიძე, 2004). პროტესტის ნიშნად კ. დავითაშვილი გადადგა ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური მდივნის თანამდებობიდან (,,კობა…" (2), 2004). მიიჩნეოდა, რომ ეს მოდელი პრეზიდენტს განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს ანიჭებდა (Fairbanks, 2004).

მმართველი გუნდი თვლიდა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების ძირითადი დებულებები აღებული იყო 2001 წლის კანონპროექტიდან, რომელიც ე. შევარდნაძის მითითებით შემუშავდა და მაშინ იგი გამოქვეყნდა განხილვისთვის (ასანიშვილი (2), 2004; (კვესიტაძე (2), 2004; ბაბეკი, 2012). სააკაშვილი დაჟინებით იმეორებდა, რომ უნდა შეექმნათ ძლიერი ხელისუფლება, რაც იყო ქართველი ხალხის მანდატი და ამიტომ მომავალი ფორმატი შორს იყო ყოველგვარი დიქტატურისგან და ავტორიტარიზმისგან. მეტიც, იგი აღნიშნავდა, რომ პროექტზე პრინციპული დადებითი დასკვნები მიიღეს საერთაშორისო ორგანიზაციებიდანაც (,,საჯარო…", 2004), მათ შორის ვენეციის კომისიიდანაც ("ჩემი…", 2004); თუმცა, კომისიის დასკვნაში საუბარი იყო როგორც დადებით ტენდენციებზე, ისე შესაძლო რისკებზე, დამატებითი განხილვებისა და დაზუსტებების საჭიროებაზე. ასევე ეს ცვლილება არ ასახავდა ჭეშმარიტ ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემას და მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ამგვარი კონსტიტუციებიდან (Opinion on…, 2004).

ს. ჯონსი თვლის, რომ ამ საკონსტიტუციო რეფორმამ, რომელიც მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობის გაზრდას გულისხმოდა, საბოლოო ჯამში დაასუსტა საპარლამენტო კონტროლი აღამსრულებელ ხელისუფლებაზე (ჯონსი, 2013). ვ. ბაბეკი აღნიშნავს, რომ 2004 წლის კონსტიტუციური რეფორმა შეუსაბამო იყო როგორც ფორმით, ისე შინაარსით. შესწორებამ საქართველოს საპრეზიდენტო სისტემაში პრეზიდენტს გაუძლიერა (მრავალი თვალსაზრისით) ძალაუფლება, რადგან პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი საპრეზიდენტო სისტემის ნაწილს წარმოადგენდა (ბაბეკი, 2012).

პრეზიდენტის ინსტიტუტის დასუსტება

საქართველო

ვარდების რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სააკაშვილის მმართველობის წინააღმდეგ პროტესტი თანდათანობით მატულობდა. ამის მიზეზებად ოპონენტები ავტორიტარიზმს, პოლიტიკურ ოპონენტებთან და ლიდერებთან ბრძოლის მეთოდებს, ძალადობის გამოყენებას და სხვა პრობლემებს ასახელებდნენ. ისევე როგორც წარსულში, საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტის მმართველი პარტია ბატონობდა (ჯონსი, 2013). ა. სკრივენელი აღნიშნავს, რომ პრეზიდენტს შეეძლო პარლამენტს დაშლით დამუქრებოდა, გამოეყენებინა ვეტო, მაშინ როცა მისი გადაყენება მხოლოდ უმრავლესობას შეეძლო, რომელიც მისივე პარტიიდან იყო. ასევე, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში თანდათანობით შემცირდა პარლამენტის მნიშვნელობა და შეიცვალა ოპონირების ფორმა: „მთავრობას და ოპოზიციას შორის დებატები არა პარლამენტში, არამედ საპროტესტო აქციების, მედია-დებატების და ბოიკოტების საშუალებით მიმდინარეობდა. ოპოზიცია ცდილობდა, მთავრობაზე ზეწოლა მოეხდინა ქუჩიდან წამოსული წნეხის და არა - საკომიტეტო განხილვების საშუალებით“ (სკრივენერი, 2016).

საპრეზიდენტო ინსტიტუტის კრიტიკის გამო მისი ცვლილება პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთ თემას წარმოადგენდა. მმართველობის სისტემის ცვლილება პრეზიდენტის ინსტიტუტის დასუსტების და პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის გაძლიერების მიმართულებით წარიმართა. ამ ცვლილებებით ცალკეული ლიდერი და პოლიტიკური პარტია ხელისუფლებაში დარჩენის გახანგრძლივებას შეძლებდა და მნიშვნელოვნად შეცვლიდა უფლებამოსილების განაწილებას სხვადასხვა შტოებს შორის.

როგორც ჩანს, პროტესტებმა დიდი გავლენა იქონია ხელისუფლებაზე. საპასუხოდ ხელისუფლება ზეწოლას აძლიერებდა როგორც მხარდამჭერებზე, ისე ოპონენტებზე და მედიაზე. 2007 წლის პროტესტებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს ხელისუფლების მდგომარეობა ,,მოვლენათა…", 2007). ამ პერიოდში დროებით დაიხურა ორი ტელეკომპანია (,,პრეზიდენტ...", 2007; ,,ტელეკომპანია...", 2007; ,,თბილისში…", 2007; ,,ოპოზიცია…", 2007; ,,იმედს"…", 2007; ,,ქართული…", 2007). პოლიტიკური პროტესტები არ ცხრებოდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგაც. გაერთიანებულმა ოპოზიციამ 2009 წლის მრავალდღიანი აქციები დააანონსა, რომელთა დაწყებაც 9 აპრილს იყო დაგეგმილი (გამისონია, 2009; გამისონია (2), 2009; ავალიანი, 2009). აქციები ივნისის ბოლომდე გაგრძელდა. პროტესტების ერთ-ერთი თემა სახელისუფლებო სისტემის ცვლილება იყო. აქციების დაწყებამდე 30 მარტს საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატებმა" პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთ გზად ახალი კონსტიტუციის შემუშავება შესთავაზეს, რომლის უმთავრესი აქცენტი პრეზიდენტის ინსტიტუტის შეცვლაზე და შესუსტებაზე იქნებოდა. ეს იდეა საპრეზიდენტო მმართველი პარტიისათვის მისაღები აღმოჩნდა (ასანიშვილი, 2009). ცვლილების საჭიროებაზე მ. სააკაშვილიც საუბრობდა და შესაძლებლად თვლიდა პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვას პარლამენტის სასარგებლოდ, თუმცა ასევე აცხადებდა: „საქართველოში ეფექტური საპრეზიდენტო მმართველობა არის მნიშვნელოვანი, მითუმეტეს, როცა ქვეყნის დიდი ნაწილი არის ოკუპირებული" ,,პრეზიდენტმა…", 2009).

საკონსტიტუციო კომისიის შექმნის განკარგულება საქართველოს პრეზიდენტმა 2009 წლის 8 ივნისს გასცა. ამ პროცესში მონაწილეობა უნდა მიეღოთ საპარლამენტო პარტიებს, სხვა კვალიფიცირებულ პარტიებს, უნივერსიტეტის, არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა ორგანოებისა და სრუქტურების წარმომადგენლებს. თუმცა, პარტიების და ექსპერტების ნაწილმა მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ნაწილობრივ კრიტიკულ დამოკიდებულებას ისიც განაპირობებდა, რომ შევარდნაძიდან მოყოლებული საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვაში ერთი და იგივე ადამიანები მონაწილეობდნენ (ბაბეკი, 2012).

კომისიამ 16 თვე იმუშავა და 2010 წლის 19 ივლისს საბოლოო ვერსია გადაუგზავნა პრეზიდენტს (დემეტრაშვილი, 2012). ვ. ფიში თვლის, რომ ეს ცვლილებები განსჯის, კონსულტაციების, ხანგრძლივი, მწვავე, და ხშირად, დებატების შედეგად იყო მიღებული,

რის გამოც იგი განსხვავდებოდა სხვა საკონსტიტუციო ცვლილებებისგან (ფიში, 2012). ვ. ბაბეკი თვლის, რომ ამ ცვლილებების პროცესში პრეზიდენტი არ ჩარეულა. მიიჩნეოდა, რომ მას არ მოურგია კონსტიტუციური რეფორმა პირადი ინტერესებისათის, თუმცა იმის რისკი, რომ მას ამგვარად ხელისუფლებაში დარჩენის გახანგრძლივება სურდა - არ გამოირიცხებოდა (ბაბეკი, 2012). მ. სააკაშვილი, თავის მხრივ, აცხადებდა, რომ შემუშავებული პროექტი, რომელიც ვენეციის კომისიამაც მოიწონა, მისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო (,,სააკაშვილი…", 2010), რომ მას უფიქრია მომავალში პრემიერ მინსიტრის პოსტზე (,,სააკაშვილი…" (2), 2010), თუმცა კონსტიტუციას თავის თავზე არ მოირგებდა (,,სააკაშვილი…" (3), 2010).

2010 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები და დამატებები, რომლის ძალითაც პრეზიდენტი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურად დარჩა, თუმცა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო საქართველოს მთავრობა გახდებოდა (საქართველოს კონსტიტუციაში…, 2010).

სომხეთი

სომხეთში 2005 წლის 27 ნოემბრის რეფერენდუმის ძალით, საპრეზიდენტო ინსტიტუტი ნახევრადსაპრეზიდენტოდ შეიცვალა. პრეზიდენტის განსაკუთრებული უფლებამოსილებები შეიკვეცა, თუმცა პრაქტიკაში სისტემა საპრეზიდენტოდ დარჩა, რადგან პრეზიდენტები აკონტროლებდნენ უმრავლესობას პარლამენტში, რისი მეშვეობითაც საკუთარ პოლიტიკას უპრობლემოდ ატარებდნენ (Markarov, 2016). ფორმალურად საპრეზიდენტო-საპარლამენტო, რეალურად კი საპრეზიდენტო სისტემა სომხეთში 2018 წლამდე შენარჩუნდა. 2015 წელს საკონსტიტუციო ცვლილება დაიგეგმა, რომლითაც საპარლამენტო სისტემაზე გადასვლა უნდა მომხდარიყო. ა. გალიანი თვლის, რომ პრეზიდენტი ს. სარქისიანი ამგვარად შეძლებდა პრეზიდენტად ორ ვადაზე მეტჯერ არჩევის აკრძალვისათვის თავის არიდებას და 2018 წლის შემდეგაც ხელისუფლებაში დარჩებოდა, როცა მისი საპრეზიდენტო ვადა მთავრდებოდა (Galyan, 2015). 2017 წლის არჩევებში სარქისიანის რესპუბლიკურმა პარტიამ გაიმარჯვა და ეს არჩევნები იმით გამოირჩეოდა, რომ პოსტსაარჩევნო პროტესტების გარეშე ჩაიარა (Золян, 2017). არჩევნების შემდეგ ს. სარქისიანის მცდელობას - დაეკავა პრემიერ-მინისტრის პოსტი „ხავერდოვანი რევოლუცია" მოჰყვა, რის შედეგადაც შეიცვალა როგორც ხელისუფლება, ისე

მმართველობის სისტემაც (Zolyan, 2019).

დასკვნა

ამგვარად, სამხრეთ კავკასიაში ძალაუფლებაზე ზემოქმედების რესურსებზე კონტროლისათვის ბრძოლაში ყველა ახალი ლიდერი განსაკუთრებულ პირობებში, ერთგვარი ეიფორიითა და იმედით მოდიოდა. სამივე რესპუბლიკაში საპრეზიდენტო ინსტიტუტთან დაკავშირებული ცვლილებები ძირითადად ხელისუფლებაში კრიზისისა და დაპირისპირებების ფონზე ხდებოდა. განსხვავებული ხასიათი ამ ცვლილებებმა აზერბაიჯანში ჰ. ალიევის მოსვლის შემდეგ მიიღო, როცა ცვლილებები რეჟიმის გაძლიერებას უწყობდა ხელს.

თითოეული ლიდერი ეფექტურად იყენებდა წლების განამავლობაში დაგროვილ სოციალურ კაპიტალს პოლიტიკურ ველზე დომინანტური პოზიციის მისაღწევად და მისი შეცვლისათვის. თუმცა სოციალურ სივრცეში სხვადასხვა ველზე ერთდროული ზემოქმედების სურვილის გამო, საბოლოო ჯამში, ქვეყნებში კრიზისები ხდებოდა, რომლებიც ხელისუფლების სპეციფიკურ ცვლილებას განაპირობებდა.

ლიდერები საპრეზიდენტო ინსტიტუტს ხელისუფლებაში მოსვლამდე განიხილავდნენ როგორც მმართველობის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც ხელისუფლების დანაწილების პირობებში ეფექტური იქნებოდა მიმდინარე გამოწვევებთან გამკლავებისათვის. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი, ძალაუფლების გასაზრდელად და პოლიტიკურ ველზე ოპონენტებისათვის სამოქმედო სივრცის შესაზღუდად - საპრეზიდენტო ინსტიტუტს თანდათან აძლიერებდნენ და, რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებული უფლებების მქონე საპრეზიდენტო სისტემად აქციეს.

თუმცა იმ პირობებში, როცა პრეზიდნეტის უფლებამოსიფლების გაზრდასთან ერთად გამოწვევები, პრობლემები და რისკები მატულობდა, ამ პროცესების ლოგიკურ გაგრძელებად საქართველოსა და სომხეთში ინსტიტუტის დასუსტება და პიროვნული დომინაციის სახეცვლილი, ერთგვარად კოლექტიური ფორმის შემოღება იქცა.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იცვლებოდა დამოკიდებულება მედიასთან. პირველი პრეზიდენტები ცდილობდნენ მედიის კონტროლს, განსაკუთრებით საარჩევნო პერიოდში, რითაც საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების მონოპოლიურ გავრცელებას

უწყობდნენ ხელს. მოგვიანებით მედია ნაწილობრივ ან მთლაიანად ხელისფულების დაქვემდებარებაში გადადიოდა. იმ შემთხვევებში, როცა მედია ინარჩუნებდა გარკვეულ დამოუკიდებლობას - ისინი დიდ გავლენას ახდენდნენ ხელისუფლების ცვლილებაზე სამივე რესპუბლიკაში.

ფაქტიურად, პრეზიდენტის ინსტიტუტი და მასთან დაკავშირებული პროცესები პიროვნული ინტერესების რეალიზაციის და ძალაუფლების განმტკიცების ინსტრუმენტს წარმოდგენდა. იგი ეხმარებოდა ძალაუფლების ობიექტივირებული რესურსების კონტროლში, შესაბამისი ცოდნის შექმნასა და გავრცელებაში და მოსახლეობაზე ზემოქმედებაში. ამ კუთხით არჩევნები წარმოადგენდა არა იმდენად საკუთარი პოლიტიკური პოპულარობის შემოწმების მექანიზმს, რამდენადაც ამ შესაძლებლობების შენარჩუნების ლეგიტიმურ გზას.

სამადლობელი. სტატიის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით დოქტ. სევილ ჰუსეინოვას და დოქტ. მიქაელ ზოლიანს.

ბიბლიოგრაფია

ავალიანი, დ. (2009, აპრილი 10). 9 აპრილის აქცია მსოფლიოს ობიექტივში. *24 საათი.* A1, A3.

ასანიშვილი, გ. (2004, თებერვალი 3). ვარდების რევოლუციის საკონსტიტუციო გაგრძელება. *24*

საათი. A1, A3.

ასანიშვილი, გ. (2) (2004, თებერვალი 4). პარლამენტში ხვალიდან საკონსტიტუციო ომი იწყება. *24 საათი.* A1, A3.

ასანიშვილი, გ. (3) (2004, თებერვალი 6). ხელისუფლებამ პირველი საკონსტიტუციო ბარიერი დაძლია. *24 საათი.* A1, A3.

ასანიშვილი, გ. (4) (2004, თებერვალი 7). ძველმა პარლამენტმა, ფაქტობრივად, ახალი კონსტიტუცია შვა. *24 საათი.* A1, A3.

ასანიშვილი, გ. (6) (2004, თებერვალი 1). ახალი საკონსტიტუციო მოდელი – ორი დღე განხილვამდე. *24 საათი.* A1, A3.

ასანიშვილი, გ. (2009, მარტი 31). ქრისტიან-დემოკრატების ინიციატივა – დავწეროთ ახალი კონსტიტუცია. *24 საათი.* A2.

აფრასიძე, დ. (2004, თებერვალი 9). რეფორმა თუ ძალაუფლება?. *24 საათი.* A1, A8.

ბაბეკი, ვ. (2012). *გაკვეთილები საქართველოდან: კონსტიტუციური რეფორმის მისაბაძი მაგალითი?* ბადენ-ბადენი: GTZ. გვ. 19, 55, 57, 70, 75-175.

ბაბეკი, ვ. (2013). *კონსტიტუციისის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995),* საერთაშორისო იურიდიული დახმარების შედეგები ტრანსფორმირებად სახელმწიფოში. თბილისი: GTZ. გვ. 10-12, 22, 23-50, 55-56, 161.

ბაჟარაძე (1991, აპრილი 5). ქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიისგან. *საქართველოს რესპუბლიკა,* 1.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის სიტყვა (1992, აპრილი 14). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1.

გამისონია, დ. (2009, აპრილ 9). პროტესტი დამკვირვებელთა პრიზმაში. *24 საათი.* A1- A2.

გამისონია, დ. (2) (2009, აპრილი 10). მოვედი... ისევ მოვედით. *24 საათი.* A1- A2.

გაუმარჯოს მისი უდიდებულესობის-კონსტიტუციის დიქტატურას (1995, აგვისტო 26). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1.

გახარია, რ., საბაშვილი, ე. (2004, თებერვალი 6). საკონსტიტუციო ცვლილებები სულთნისთვის თუ ხალხისთვის? *საქართველოს რესპუბლიკა,* 1,2.

გუშინ საქართველომ პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილი აირჩია! გულწრფელად ვულოცავთ! (2004, იანვარი 5). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1,3.

დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების თარიღის შესახებ" (1991, აპრილი 16). *საქართველოს რესპუბლიკა* 1.

დემეტრაშვილი, ა.(2009-2010). *წლების კონსტიტუციური რეფორმა საქართველოში – ფარგლები, მიმართულება, შედეგი,* - წიგნში: ბაბეკი, ვოლფგანგ., ფიში, სტივენ., რაიჰენბეჰერი, ცენო.

კონსტიტუციის გადასინჯვა - საქართველოს გზა ევროპისაკენ, 2012, ბადენ-ბადენი : GTZ. გვ.19.

ედუარდ შევარდნაძე: მეორედ მოსვლა (2) (1992, ივლისი 18). *საქართველოს რესპუბლიკა*, 2.

ედუარდ შევარდნაძე: არჩევნებზეა ახლა დამოკიდებული ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის ბედი (4) (1992, სექტემბერი 23). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1.

ედუარდ შევარდნაძე: ჩვენი დიაგნოზი, რომ საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებასთან გვაქვს საქმე, გაგრაში მომხდარმა მოვლენებმაც დაადასტურა (5) (1992, ოქტომბერი 6). *საქართველოს რესპუბლიკა*, 2.

ედუარდ შევარდნაძე: ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს მოვთხოვოთ ყველას, მათ შორის აფხაზეთის ხელმძღვანელებსაც, რომ შეასრულონ მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულება (6) (1992, სექტემბერი 8). *საქართველოს რესპუბლიკა*, 2.

ედუარდ შევარდნაძე: ჩვენ უნდა ვიაროთ ჩვენი, ახალი ქართული გზით (7) (1992, ნოემბერი 6). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1.

ედუარდ შევარდნაძე– საქართველოს პრეზიდენტი (8) (1995, ნოემბერი 15). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1.

ეროვნული მშვიდობა, თანხმობა, შერიგება განყენებული სიტყვები აღარ არის (1992, ივნისი 6). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1.

ვაშენოთ ახალი, დემოკრატიული საქართველო (1992, ოქტომბერი 10). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1,2,3,5.

ზვიად გამსახურდია (1991, აპრილი 16). *საქართველოს რესპუბლიკა,* 1.

ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტია (2) (1991, აპრილი 16), *საქართველოს რესპუბლიკა,* 1.

ზურაბიშვილი, დ. (2004, თებერვალი 9). სამნი ერთ ნავში, ანუ როცა მესამე ზედმეთია. *24 საათი.* A1, A8.

თათრულიაძე, ნ. (1995, სექტემბერი 2), მიღებულია კანონი როგორც პაარლამენტის, ისე პრეზიდენტის არჩევნების შესახებ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 1.

თბილისში გაზათების უმეტესობა გაიყიდა (2007, ნოემბერი 8). Civil.ge. https://old.civil.ge/geo/article.php?id=16602

თევზაძე, ვ. (2004, თებერვალი 3). ზავი, კონსტიტუციურ ცვლილებათა შეთანხმებული პროექტი პარლამენტში ამ კვირაში შევა. *24 საათი.* A1, A3.

იმედს ლიცენზია სამი თვით გაუჩერდა (2007, ნოემბერი 9). Civil.ge. https://old.civil.ge/geo/article.php?id=16720

ისტორიული მოვლენა საქართველოს მრავალსაუკუნოვან მატიანეში (1995, აგვისტო 26). *საქართველოს რესპუბლიკა,* 1.

კანდელაკი, კ. (2020, ოქტომბერი 30). საპარლამენტო არჩევნების ისტორია. Publika.ge. https://publika.ge/article/saparlamento-archevnebis-istoria/.

კვესიტაძე, ე. (2004, იანვარი 5). პირველი გამოცდა ჩაბარებულია. *24 საათი.* A1, A3.

კვესიტაძე, ე. (2) (2004, იანვარი 24). "ხელისუფლების ახალ მოდელში ყველაზე დაუცველი მთავრობაა", ინტერვიუ სახელმწიფო მინისტრთან ზურაბ ჟვანიასთან. *24 საათი.* A1, A3.

კიტოვანი, თ., იოსელიანი, ჯ. (1992, იანვარი 8). დიქტატორული რეჟიმი დამხობილია. *საქართველოს რესპუბლიკა,* (სპეციალური გამოშვება). 1.

კიტოვანი, თ., იოსელიანი, ჯ. (2) (1992, February 25). საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დეკლარაცია. *საქართველოს რესპუბლიკა,* 1.

კობა დავითაშვილი არ ეთანხმება საკონსტიტუციო ცვლილებებს (2004, თებერვალი 4). *საქართველოს რესპუბლიკა.* 1, 2.

კობა დავითაშვილის პრინციპული ნაბიჯი (2) (2004, თებერვალი 4). *24 საათი.* A1.

მელიქაძე, ნ. (2004, თებერვალი 3). რატომ არ შეიძლება პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღება. *24 საათი.* A1, A8.

მთავრობა იძულებით გადადგა (2001, ნოემბერი 1). Civil.ge. https://old.civil.ge/geo/article.php?id=394&search=

მიხეილ სააკაშვილი კანდიდატად დაასახელეს (2003, ნოემბერი 27). *საქართველოს რესპუბლიკა,* 1-2.

მოვლენათა ქრონოლოგია (2007, ნოემბერი 3). Civil.ge. https://old.civil.ge/geo/article.php?id=16522

მჭედლიშვილი, თ. (2003, ნოემბერი 26). პროპორციული შედეგები გაუქმდა. *24 საათი.* A1, A3.

მჭედლიშვილი, თ. (2004, თებერვალი 8). არასამთავრობო სექტორის მიერ "უკან მიდევნებული ლამპარი". *24 საათი.* A3.

ოპოზიცია საგანგებო მდგომარეობის ძალაში დატოვებას გმობს (2007, ნოემბერი 9). Civil.ge. https://old.civil.ge/geo/article.php?id=16635

ორლიკი, იუ., ურიგაშვილი, ბ. (1992, აპრილი 11). შეიძლება წავაგო კიდეც, მაგრამ საქართველოში არდაბრუნება არ შემეძლო. *საქართველოს რესპუბლიკა,* 2.

პატივი ეც კონსტიტუციასა შენსა (2004, თებერვალი 4). *საქართველოს რესპუბლიკა.* 2;

პრეზიდენტ სააკაშვილის ინტერვიუ - სრული ტექსტი (2007, ნოემბერი 5). Civil.ge. https://old.civil.ge/geo/article.php?id=16539

პრეზიდენტმა დეპუტატებს მიმართა (2009, ივლისი 21). Civil.ge.

https://old.civil.ge/geo/article.php?id=21538

რუსთავი 2"-ს 1,5 მილიონი ლარის დამალვაში ადანაშაულებენ (2001, ოქტომბერი 30). Civil.ge. https://old.civil.ge/geo/article.php?id=368.

საკაშვილი მმართველი ფარტიის ხედვაზე (2010, ივნისი 15). Civil.ge. https://old.civil.ge/geo/article.php?id=22857.

საკაშვილი პრეზიდენტობის შემდგომ გეგმებზე საუბრობს (2) (2010, ივნისი 8). Civil.ge. https://civil.ge/ka/archives/147953.

საკაშვილის თქმით, 2013 წლის შემდეგ ხელისუფლებაში დარჩენას არ აპირებს (3) (2010, მარტი 1). Civil.ge. https://civil.ge/ka/archives/147562.

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, Pub. SSM, No. 62, Doc. No. 3710-IIs (2010). https://matsne.gov.ge/ka/document/view/1080890?publication=2

საქართველოს რესპუბლიკის კანონი "საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ" (1990, ნოემბერი). *უმაღლესი საბჭოს უწყებები, N11(604),* 38, 39. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/290380/1/Umaglesi_Sabchos_Uwyebebi_1990_N11.pdf

საქართველოს რესპუბლიკის კანონი "საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ (2) (1990, აგვისტო). *უმაღლესი საბჭოს უწყებები, N8(601),* გვ. 17-54. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/290362/1/Umaglesi_Sabchos_Uwyebebi_1990_N8.pdf

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი (1) (1991, აპრილი 10). *საქართველოს რესპუბლიკა,* 1.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი "საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოქმედების შესახებ" (2) (1991, აპრილი 10). *საქართველოს რესპუბლიკა,* 4.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის 1991 წლის 10 აპრილს (3) (1991, აპრილი 13). *საქართველოს რესპუბლიკა,* 1.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი "საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის დაწესებისა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" (4) (1991, აპრილი 16). *საქართველოს რესპუბლიკა,* 1-2.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 28 აპრილს (5) (1991, მაისი 1). *საქართველოს რესპუბლიკა,* 1.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების წინ (8) (1991, აპრილი 25). *საქართველოს რესპუბლიკა,* 1.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი "საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ" (9) (1991, მაისი 24). *საქართველოს რესპუბლიკა,* 1.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება "საქართველოს კომუნისტური პარტიის შესახებ" (10) (1991, მაისი 24), *საქართველოს რესპუბლიკა*, 2;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება 1991 წლის 19-21 აგვისტოს სსრ კავშირში მიმდინარე მოვლენების დროს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, აფხაზეთის კპ რესპუბლიკური კომიტეტის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის კპ საოლქო კომიტეტისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა გაუქმებული საბჭოს თვითმარქვია აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედებათა შესახებ (11) (1991, მაისი 24), *საქართველოს რესპუბლიკა*, 2;

საქართველოს კანონი "პრესის და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" (12) (1991, ივლისი 15). *საქართველოს პარლამენტის უწყებები, N11*, გვ. 68. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/32548?publication=4.

საქართველოს პარლამენტში 169 დეპტატი იქნება (12) (1992, მაისი 23). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი "სახელმწიფოს შესახებ" (13) (1992, ნოემბერი 10), *საქართველოს რესპუბლიკა*, 1-2.

საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შესახებ. Pub. SSM, No. 135, Doc. No. 3117, (2003). https://matsne.gov.ge/ka/document/view/42082?publication=0

საქართველოს პარალამენტმა გუშინ პრეზიდენტის მიერ შეტანილი საკონსტიტუციო ცვლილების ის მუხლი ჩააგდო, რომელიც სადეპუტატო იმუნიტეტის შეზღუდვას ითვალისწინებდა (2004, თებერვალი 7). *საქართველოს რესპუბლიკა.* 1.

საპროტესტო აქციამ პარლამენტის წინ გადაინაცვლა (2001, ოქტომბერი 31). Civil.ge. https://old.civil.ge/geo/article.php?id=376&search=.

სახელმწიფო მოვალეა უზრუნველყოს არჩევნებში მოქალაქეთა ნების გამოხათვის სრული თავისუფლება (1995, აგვისტო 15). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1.

სარეიტინგო გამოკითხვის თანახმად საქართველოს პარლამენტი მხარს უჭერს პრეზიდენტის ინსტიტუტს (1995, აგვისტო 9). *საქართველოს რესპუბლიკა,* 1.

საჯარო მხარდაჭერას მოჰყვება თქვენი საჯარო მადლიერება (2004, თებერვალი 6). *საქართვალოს რესპუბლიკა.* 2.

სიცოცხლის გზა უნდა გაიხსნას! (1993, ოქტომბერი 21). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1.

სკრივენერი, ა., საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში: ძლიერი პარლამენტის იდეის განხორციელების სირთულეები და დაბრკოლებების ანალიზი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, პოლიტიკის დოკუმენტი, 2016, 2-3. https://gip.ge/wp-content/uploads/2020/10/policy_brief_GEO-3.pdf

ტელეკომპანია კავკასია გაითიშა (2007, ნოემბერი 7). Civil.ge. https://old.civil.ge/geo/article.php?id=16585

ფიში, ვ. (2012). *საქართველოს კონსტიტუციური განვითარება შედარებითი ანალიზის რაკურსში.* წიგნში: ბაბეკი, ვოლფგანგ., ფიში, სტივენ., რაიჰენბეჰერი, ცენო. კონსტიტუციის გადასინჯვა - საქართველოს გზა ევროპისაკენ, 2012, ბადენ-ბადენი: GTZ. გვ. 55.

ქართული მედიის თავისუფლება შემცირდა (2008, აპრილი 30). Civil.ge. https://old.civil.ge/geo/article.php?id=18150.

ქვეყნის გათავისუფლება არ არის მარტოოდენ დროშის აღმართვა (1992, ნოემბერი 5). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1, 2.

შევარდნაძე: კედლის აქეთა მხარეს (1992, აპრილი 2). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1.

შევადნაძე: მჯერა, აღორძინდება საქართველო! (2) (1992, მაისი 26). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1.

ჩიქოვანი, გ. (1992, მარტი 21). ედუარდ შევარდნაძე: უნივერსიტეტში ვხედავ საქართველოს, მას ენიჭება უნიკალური როლი ერის ერთობაში, პოლიტიკურ სტაბილიზაციაში, ეკონომიკისა და განათლების. *საქართველოს რესპუბლიკა*, 2.

ჩემი მთავარი მოკავშირე არის თავისუფალი სიტყვა (2004, თებერვალი 7). *საქართველოს რესპუბლიკა*. 1.

ცენტრალურ საარჩევნო კოისიაში (1991, აპრილი 27). *საქართველოს რესპუბლიკა,* 1.

ძირითად პოლიტიკურ ძალთა თანამშრომლობამ კონსტიტუციის განხილვის პროცესში ყველაზე სერიოზულ გამოცდას გაუძლო (1995, აგვისტო 22). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1-2.

ძლიერი პარლამენტი არ გამორიცხავს ძლიერ ხელისუფლებას (1992, ოქტომბერი 27). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1.

ძლიერი ხელისუფლება კიდევ უფრო განამტკიცებს წესრიგს და ამით რეალურად იზრუნებს დემოკრატიის განვითარებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზენაესობისათვის (1995, ნოემბერი 14). *საქართველოს რესპუბლიკა*, 1-2.

ჭელიძე, გ. (1992, მარტი 10). ედუარდ შევარდნაძე: "მე ჩამოვედი იმისათვის, რომ მკლავები დავიკაპიწო და ჩემს ხალხთან ერთად ვიშრომო და მივაღწიო ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად!". *საქართველოს რესპუბლიკა*, 1.

ჯონსი, ს. (2013). *საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.*

თბილისი: სოციალური მეცნიერებების ცენტრი. გვ. 4, 16, 30, 35-36, 41-43, 55, 56-57, 66-67, 69-70, 75, 77, 84, 93, 95, 96, 98, 111-117, 120, 133-134, 139-140, 145, 200, 201, 212, 228.

Abrahamyan, H. (2019). Hayastani Ankakhatsman Hasarakakan-Qaghaqakan Nakhadryalnery ev Kayatsman Skizbe. Yerevan, EPH Hratarakutyun, 2019, 339.

Astourian, S. (2000-2001). *From Ter-Petrosyan to Kocharyan: Leadership Change in Armenia* (Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies, Working Paper Series). Berkeley, University of California, 2001, 3. https://escholarship.org/content/qt0c2794v4/qt0c2794v4.pdf

Fairbanks, C. (2004). Georgia's Rose Revolution. *Journal of Democracy, Vol. 15, N. 2*, 110-124. https://doi.org/10.1353/jod.2004.0025.

Fairclough N. *Critical Discourse Analysis: The Critical Study of Language.* London: Longman, 1995.

Galyan, A. (2015). *Gearing towards Consensualism or Unrestrained Majoritarianism? Constitutional Reform in Armenia and its Comparative Implications*. Constitutionnet.org. https://constitutionnet.org/news/gearing-towards-consensualism-or-unrestrained-majoritarianism-constitutional-reform-armenia

Kandelaki, G. (2006). *Georgia's Rose Revolution: A Participant's Perspective*. U.S. Institute of Peace Report (Special Report 167). https://www.usip.org/publications/2006/07/georgias-rose-revolution-participants-perspective.

Markarov, A. (2016). Semi-Presidentialism in Armenia. In Elgie R., Moestrup S. (Eds.), *Semi-Presidentialism in the Caucasus and Central Asia* (pp. 61-90). London: Palgrave Macmillan. https://doi.org/10.1057/978-1-137-38781-3_3

Opinion on the Draft Amendments to the Constitution of Georgia adopted by the Venice Commission at its 58th Plenary Session, CDL-AD(2004)008-e. 2004. https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2004)008-e.

RadioFreeEurope/RadioLibrary, Caucasus Report, Vol.1, No. 25, 18 August 1998.

Zolyan, M. (2019). *The Poverty of Authoritarianism: What Made the Armenian Revolution Possible*. Caucasus Analytical Digest, N 108 (3-6). https://www.laender-analysen.de/cad/pdf/CaucasusAnalyticalDigest108.pdf.

Агамалиева, Н. (ред.). (1998). *Азербайджанская Демократическая Республика (1918—1920)*. Баку: Элм. 125.

Азербайджан. Государственные символы и атрибуты. Управление делами Президента Азербайджанской Республики. Президентская библиотека. https://files.preslib.az/projects/remz/pdf_ru/atr_kons.pdf

Алиев Гейдар Алиевич (Алиев Гейдар Алирза-оглу) (2003, Декабрь 15). *Коммерсантъ*. https://www.kommersant.ru/doc/435597

Андриянов, В., Мираламов, Г. (2005). *Гейдар Алиев*. Москва: Молодая Гвардия

Аяз Муталибов - политик, отдавший власть без крови. Каким был первый президент Азербайджана (2022, 28 март). BBC News Русская служба. https://www.bbc.com/russian/features-60908899

Бурдье, П. (1993). *Социология Политики*. М.: Социо-Логос. 39-41, 55-58.

Бурдье, П. (2001). Поле Политики, Поле Социальник Наук, Поле Журналистики в Социоанализ Пьэра Бурдье. Альманах Российско-французского центра социологии и философии Института социологии Российской Академии наук. — М.: Институт экспериментальной социологии; СПб.: Алетейя. 107-138.

Бурдье, П. (2002). *Практический Смысл.* СПб.: Алетейя. 100-127.

Борисов, Н. (2017). Институциональный выбор в позднесоветских политических системах: формирование моделей президенства. *Политическая Наука*, N.3, 87.

Восстановление и сохранение государственной независимости. Независимый Азербайджан. https://republic.preslib.az/ru_a3.html

Декларация о независимости армении, Верховный Совет Республики Армения, Изд. Голос Армении 25.08.1990 (1990). https://www.gov.am/ru/independence/

Епишина, А. (1999). Азербайджанская Республика. Политический мониторинг №1(84). Международный институт гуманитарно-политических исследований. http://www.igpi.ru/monitoring/1047645476/jan1999/azerbayd0199.htm

Законодательство, Правовая система Азербайджанской Республики (Общий обзор). Конституционный Суд Азербайджанской Республики. http://www.constcourt.gov.az/ru/legislation/22

Золян, М. (2017). *Выборы в Армении: обошлось без Неожиданностей*. Российский Совет по Международным Делам. https://russiancouncil.ru/analytics-and-comments/analytics/vybory-v-armenii-oboshlos-bez-neozhidannostey

Иванов-Смоленский, Г., Самедов, В. (1992, 10 Июня). Азербайджан: Уже мир, но еще война. *Известия*, 3.

Конституционный акт «О государственной независимости Азербайджанской Республики», Верховный Совет Азербайджанской Республики, No. 222-XII (1991). https://base.spinform.ru/show_doc.fwx?rgn=2889#.

Маркедонов, С. (2006, Август 21). Самоопределение по ленинским принципам. *Агентство Политических Новостей*. https://www.apn.ru/publications/article10413.htm

Об Армении - Общие сведения. Правительство Республики Армения. https://www.gov.am/ru/official/

Рустамзаде, А. (2016). Конституционно-правовые аспекты института главы государства в Азербайджанской Республике и зарубежный опыт. *Науковий вісник Ужгородського національного університету : Серія: Право. Вип. 37. Т.1*, 80-83. https://journals.indexcopernicus.com/api/file/viewByFileId/483527.pdf

Фурман, Д., Абасов, А. (2001). Азербайджанская революция. In Фурман, Д. (Ред.), *Азербайджан и Россия: общества и государства* (118-175). Москва: Летный сад.